საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

მეორე ჯგუფის შეხვედრა

ოქმი

თარიღი: 21 თებერვალი, 2024 წელი
დრო: 16:00 - 18:00
შეხვედრის ადგილი: **საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზი**
Zoom Format

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - ეროვნული პლატფორმის თანათავმჯდომარე, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები;
2. ნინო ელიზბარაშვილი - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ასოციაცია ქალი და ბიზნესი
3. მანანა წულაია - ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ,,ელკანა"
4. დათო ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
5. გიორგი კაჭარავა - ევროკავშირი–საქართველოს ბიზნეს საბჭო
6. თენგიზ სვანიძე - საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია „საქართველოს ჩაი"
7. აკაკი ფანჩულიძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები;
8. ლანა ღვინჯილია - „პოპულუს რეი"
9. ტატა ბერიძე - ბუღალტერთა კავშირი
10. მარიამ ქუჩულორია - კონკურენციის ცენტრი
11. ლია თოდუა - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
12. გივი ქოჩორაძე - კვლევების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხელშემწყობი საერთაშორისო ცენტრი

13. კონსტანტინე ჟღენტი - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
14. ნატა კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაცია
15. გიორგი ჭუმბურიძე - ბიზნესის ხელშემწყობი ცენტრი ქუთაისი

დღის წესრიგი

1. ინფორმაცია წევრთა საქმიანობის შესახებ
2. სამუშაო ჯგუფის სამოქმედო გეგმის შემუშავება
3. ქვეჯგუფების მუშაობის გააქტიურება
4. 9 პუნქტთან დაკავშირებით მსჯელობა
5. სხვა საკითხები.

მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა ჯგუფის კოორდინატორმა ნინო ელიზბარაშვილმა. მან მონაწილეებს წარუდგინა შეხვედრის დღის წესრიგი და ჯგუფის სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია. დოკუმენტში გაწერილი იყო თემატური მიმართულებები, რომელიც უნდა გააქტიურდეს მიმდინარე წელს სამუშაო ჯგუფის ფორმატში განხილვების პროცესში. მან ყურადღება გაამახვილა სექტორული მიმართულებებით თანამშრომლობის გააქტიურებაზე პარლამენტის დარგობრივ კომიტეტებთან და სახელმწიფო უწყებებთან, რომ კოალიციის წევრები აქტიურად იყვნენ ჩართულები საკანონმდებლო პროცესებსა და განხილვებში. ამავე დროს მნიშვნელოვანია საპარლამენტო მდივნის როლისა და ფუნქციის გაძლიერება. შეხვედრაზე პუნქტობრივად განიხილეს ჯგუფის სამოქმედო გეგმა , რომელშიც შევიდა ცვლილებები და დამატებები. სამოქმედო გეგმის დოკუმენტი გაზიარდება მეორე ჯგუფის წევრებთან და მათი მოსაზრებების გათვალისწინებით საბოლოო სახით იქნება მიღებული.

ასევე დაისვა საკითხი ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლობასა და საელჩოებთან თანამშრომლობის გააქტიურების შესახებ.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ ჯგუფის წევრები. კერძოდ ,ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ,,ელკანას" წარმომადგენელი, მანანა წულაია, რომელმაც აღნიშნა, რომ საპარლამენტო მდივანს უნდა ჰყავდეს ტექნიკური ჯგუფი, რომელიც დაეხმარება საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში და ასევე ექსპერტული ჯგუფი, რომელიც მუდმივად აქტიურად იქნება ჩართული პარლამენტის შესაბამისი კომიტეტების მუშაობის პროცესში. საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, დათო ცისკარიძე, რომელიც გასულ წლებში კოორდინატორობდა მეორე სამუშაო ჯგუფს, მან აღნიშნა, რომ სექტორული თანამშრომლობა არის ძალიან მნიშვნელოვანი და მისი ორგანიზაცია აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა უზყწბებთან. შესაბამისად პლატფორმის წევრებისა და კონკრეტულად მეორე

ჯგუფის წევრების ჩართვა ამ პროცესში იქნება ძალიან მნიშვნელოვანი. მან ასევე შესთავაზა მეორე ჯგუფის ფარგლებში ჩამოყალიბებულიყო „ბიზნეს საკონსულტაციო და ფინანსებზე ხემისაწვდომობის“ ქვეჯგუფი. ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭო - გიორგი კაჭარავა - ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის პროგრამის განხორციელების ნაწილში ორგანიზაცია სთავაზობს ტრეინინგის/ვებინარის ორგანიზებას როგორც კოალიციის წევრებსთვის, ისე სხვა დაინტერესებული ჯგუფებისთვის.

შეხვედრაზე იმსჯელეს თემატური ქვეჯგუფების მუშაობის გააქტიურების საკითხზე. მსჯელობის შედეგად, შეხვედრაზე განისაზღვრა და ჩამოყალიბდა შემდეგი თემატური ქვეჯგუფები:

1. ბიზნეს საკონსულტაციო და ფინანსებზე ხელმისაწვდომობა
2. აგრარული პოლიტიკა და სოფლის განვითარება
3. მცირე და საშუალო ბიზნესი
4. მდგრადი განვითარება და მწვანე ეკონომიკა
5. ციფრული ტექნოლოგიების ჰარმონიზაცია
6. ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული მარეგულირებელი თანამშრომლობა
7. ტრანსპორტი და ლოჯისტიკა
8. ტურიზმი

შეხვედრას ესწრებოდა ეროვნული პლატფორმის თანათავმჯდომარე ნინო ჩხობაძე, რომელმაც ისაუბრა 9 დათქმის/ნაბიჯის შესრულების პროცესსა და მასში პლატფორმის როლის მნიშვნელობაზე. განმარტა, რომ ქვეყნისთვის უმთავრესია ამ მიმართულებით სამუშაო პროცესების გაძლიერება, რაშიც საკუთარი წვლილი უნდა შეიტანოს ეროვნულმა პლატფორმამ. იგი მნიშვნელოვნად მიიჩნევს სამმხრივი კონფერენციის ჩატარებას, რომელიც სწორედ 9 ნაბიჯის შესრულების პროცესთან იქნება დაკავშირებული. სამმხრივი ფორმატი კი გულისხმობს პარლამენტის, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობას. კონფერენციაში მნიშვნელოვანი და აუცლებელია საპარლამენტო ოპოზიციისა და დიპლომატიური კორპუსის მონაწილეობა.

სხდომის მდივანი:

ქეთევან ჭურაძე